ETF Working together Learning for life

European Training Foundation

პოლიტიკის დოკუმენტი

მტკიცებულებები, პრაქტიკა და რეკომენდაციები პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად

მიგრანტი ქალები პროფესიული უნარებისთვის:

რა შეუძლია საგანმანათლებლო სისტემას

THE EU AGENCY SUPPORTING COUNTRIES TO DEVELOP THROUGH LEARNING

1. მიგრანტი ქალების პროფესიული უნარები

ევროპის განათლების ფონდმა 2023 წელს 58 ქართველ, მაროკოელ და ტუნისელ მიგრანტ ქალთან ჩაატარა ინტერვიუ და მათ საფუძველზე, ეს პოლიტიკის დოკუმენტი აყალიბებს მიგნებებსა და რეკომენდაციებს ქალი მიგრანტების პროფესილი უნარების განვითარებისა და კვალიფიკაციის აღიარებისთვის. იგი პოლიტიკის შემქმნელებსა თუ სამოქალაქო ორგანიზაციებს, ევროკავშირის ინსტიტუტებს და საერთაშორისო დონორებს აწვდის ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ლეგალური შრომითი მიგრაციის შესაძლებლობების განვითარება.

'უცხო ქვეყანაში და უცხო მიწაზე ყველაფერი რთულია.'
სეზონური მიგრანტი ქალი საქართველოდან

მიგრანტი ქალები აწყდებიან ისეთ პრობლემებს, როგორიცაა განათლებისა თუ პროფესიული უნარების განვითარების ნაკლები შესაძლებლობები და არსებული უნარების არასაკმარისად გამოყენება. ამ კუთხით, პოლიტიკის შემქმნელებმა უფრო უკეთ უნდა შეაფასონ პროფესიული უნარები და ხელი შეუწყონ მიგრანტების პრფესიული უნარებისა და ცოდნის გაღრმავებას, რასაც სამმაგი სარგებელი მოჰყვება - მიგრანტებისთვის, მათი წარმოშობის თუ დანიშნულების ქვეყნებისთვის..

2. ქალები საერთაშორისო შრომით მიგრაციაში: პროფესიული უნარების საჭიროებების მიმოხილვა

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) 2019 წლის მონაცემებით, შრომითი მიგრანტების 41.5% ქალია და მათი შრომით ბაზარზე მონაწილეობა უფრო დაბალი იყო, ვიდრე მამაკაცების (59.8% საპირისპიროდ 77.5%). უფრო იმატებს შრომით მიგრაციაში ქალების დამოუკიდებლად წასვლის შემთხვევები, თუმცა, მათი პროფესიული უნარების სწორად გამოყენებასთან დაკავშირებით მტკიცებულებები ნაკლებად მოგვეპოვება და შესაბამისი პოლიტიკაც იშვიათად ხორციელდება, განსაკუთრებით დაბალი და საშუალო კვალიფიკა ციის მქონე ქალების შემთხვევაში.

'მე შემიძლია სხვა ქვეყანაში გადავიდე, ახალი კულტურა აღმოვაჩინო და ახალი უნარები შევიძინო. ემიგრაციის ამოცანა ჩემი კვალიფიკაციის და ღირებულებების ამაღლებაა, ემიგრაციაში ახალი უნარების მისაღებად წავალ."
პოტენციური მიგრანტი ქალი მაროკოდან

მიგრანტი ქალების და მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაძლიერებისთვის პროფესიული უნარების განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს. აქედან გამომდინარე, ETF-ის კვლევა, „მიგრანტი ქალების განვითარება: ინდივიდუალური გზა და პერსპექტივები," სამაგიდო კვლევის და ჩაღრმავებული ეთნოგრაფიული ინტერვიუების საფუძველზე იკვლევს პრფესიულ უნარებს და კვალიფიკაციებს, რომელსაც მიგრანტი ქალები იყენებენ. საქართველო, მაროკო და ტუნისი განსაკუთრებით საინტერესო მაგალითებია, ვინაიდან საკმაოდ წინაა წასული პოლიტიკური დიალოგი ევროკავშირთან მიგრაციის მართვაზე და საკმაოდ დიდია გადინება ევროკავშირის ქვეყნებში.

სამივე ქვეყნის მთავრობისა და ევროკავშირის დელეგაციების დახმარებით მიგრანტი ქალების სამი განსხვავებული ქვე-ჯგუფი შეირჩა, სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლებით, რაც სხვადასხვა პერსპექტივების და დეტალების გამოვლენას ემსახურებოდა. საქართველოში გამოიკითხა სოფლის მეურნეობის სეზონურ სამუშაოებზე დასაქმებული მიგრანტები და ზრუნვის სფეროში დასაქმებიდან დაბრუნებული ქალები; მაროკოსა და ტუნისში როგორც სეზონურ, ისე პოტენციურ მიგრანტებთანაც ჩატარდა ინტერვიუები.

ანგარიშში ასახულია კითხვები მიგრაციაში წასვლამდე არსებული პრფესიული უნარების შესახებ და მათი კავშირი მიგრაციასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებთან, ასევე, მიგრაციის დროს გაუმჯობესებული პრფესიულ უნარებზე. ყველა ინტერვიუ პირისპირ ჩატარდა და კანდიდატების მოსაზიდად ე.წ. „თოვლის გუნდის" პრინციპი იყო გამოყენებული. მეთოდოლოგიისა და მიგნებების შესახებ

დამატებითი ინფორმაციისთვის მკითხველს შეუძლია ნახოს ETF-ის დიზაინის კონცეფცია, ქვეყნების ანალიტიკური ანგარიშები და ქვეყნების შერჩევის პრინციპები.

მიუხედავად იმისა რომ კვლევას თავისი შეზღუდვები გააჩნია რესპონდენტების მცირე რაოდენობიდან გამომდინარე, ამ სამი ქვეყნიდან მიღებული მიგნებები და რეკომენდაციები მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდის ETF-ის პარტნიორ ქვეყნებს და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, რათა შექმნან მიზანმიმართული ინტერვენციები და პოლიტიკა.

3. პოტენციური მიგრანტი ქალები: საქართველო, მაროკო და ტუნისი

გამოკითხული 26 ქალი საზღვარგარეთ დროებით 3-6 თვის განმავლობაში და ხშირად განმეორებით სამუშაოს ასრულებს სოფლის მეურნეობის ან ტურიზმის სფეროში,. ისინი სოფლად ცხოვრობენ, უმეტესობა დაქორწინებულია და ჰყავს შვილები, არიან უმუშევრები ან აქვთ დროებითი ან მუდმივი სამუშაო. ქალებს საქართველოდან აქვთ საშუალო და/ანპროფესიული განათლება. ტუნისელი ქალების განათლების დონე განსხვავებულია - დაბალი უნარებიდან მაღალი კვალიფიკაციის ჩათვლით, ხოლო მაროკოელებს ხშირად საბაზისო განათლება არაფორმალური პროგრამებიდან აქვთ მიღებული. სოფლის მეურნეობის ცოდნა და წინა სამუშაო გამოცდილება ზეგავლენას ახდენს მიგრაციასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებების მიღებაზე, სამუშაოს შესრულებაზე და დასაქმების უკეთეს შესაძლებლობაზე. გამოკითხულებისთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა წასვლამდე საორიენტაციო შეხვედრები და მიღებული რჩევები.

ზოგიერთი საქართველოდან წასული მიგრანტი ქალის პროფესიული უნარებისა და კვალიფიკაციის სათანადოდ გამოყენება არ ხდება, ვინაიდან საზღვარგარეთ ისეთი სამუშაოს შესრულება უწევთ, რისთვისაც ზედმეტად კვალიფიციურები არიან. მიუხედავად საზღვარგარეთ ყოფნის მოკლე პერიოდისა და სამუშაოს ინტენსიურობისა, ქალები სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ ახალ უნარებს იძენენ და აუმჯობესებენ ისეთი ზოგად უნარებს, როგორიცაა კომუნიკაცია და ურთიერთობები.

დაბრუნებისას, ქალებს განსხვავებული მისწრაფებები აქვთ, ფოკუსირებული არიან პროფესიულ ზრდასა და ოჯახური როლების დაბალანსებაზე.

ეკონომიკური გაძლიერების მნიშვნელოვან ფაქტორად ქალები ფინანსების მართვასა და სამეწარმეო უნარებს ასახელებენ, მაგრამ სამეწარმეო შესაძლებლობებს უფრო საჭიროებიდან გამომდინარე იყენებენ და არა ინტერესის გამო.

კვლევის დროს გამოიკითხა ზრუნვის სფეროში დასაქმებიდან საქართველოში დაბრუნებული 11 მიგრანტი ქალი, რომლებიც ჯანდაცვის დაწესებულებებში და კერძო სახლებში იყვნენ დასაქმებულები. სეზონური მუშაკებისგან განსხვავებით, მათი საზღვარგარეთ დასაქმების პერიოდი უფრო ხანგრძლივია და გამეორება უფრო ნაკლებად ხდება. რადგან მიმღებ ქვეყნებში ჯანდაცვის სფეროს პროფესიები კანონმდებლობით და პროფესიული სტანდარტებით რეგულირდება, განათლებას დიდი მნიშვნელობა აქვს საემიგრაციო გადაწყვეტილების მიღებისას. ლიცენზირებულმა ქართველმა ექთნებმა საზღვარგარეთ მუშაობისთვის ტექნიკური და ენის ტრენინგები უნდა გაიარონ. კერძო ოჯახებში მომვლელებად დასაქმება უკავშირდება ქალის ტრადიციულ როლებს და შესაბამის ზეგავლენას ახდენს მიგრაციის გადაწყვეტილებაზე. ოჯახურ გარემოში დასაქმებული ქალების შემთხვევაში ხშირად ხდება უნარების დაქვეითება.

საზღვარგარეთ ფორმალურ დაწესებულებებში მომუშავე ქალებს აქვთ ტრენინგისა და უნარების გაუმჯობესების შესაძლებლობა, ხოლო ოჯახებში დასაქმებულებს შეხება მხოლოდ სამუშაო გარემოსთან აქვთ.

დაბრუნებისას მომვლელებს სურთ, უფრო სტაბილური დასაქმებისთვის არსებული უნარები გამოიყენონ, ან ახალი უნარები აითვისონ. ქალები დაინტერესებულები არიან სექტორისთვის დამახასიათებელი პროფესიული გადამზადებით და ინტერესდებიან ფასით, ხელმისაწვდომობის შესაძლებლობით და მომზადება/გადამზადების კურსებიის თეორიასა და პრაქტიკას შორის ბალანსით. მიუხედავად იმისა რომ სამეწარმეო

პროექტებით დაინტერესება მაღალია, დაბრუნებულ მიგრანტ ქალებს ხშირად არ გააჩნიათ ბიზნეს გეგმების მომზადებისთვის საჭირო ინფორმაცია, ფინანსური რესურსები ან უნარები, რაც ხელს უშლის ამ პროექტების განხორციელებას.

სეზონური მუშახელისა და მომვლელებისგან განსხვავებით, გამოკითხული 21 პოტენციური მიგრანტი ახალგაზრდა, დაუქორწინებელი და ხშირად მაღალი მოტივაციის მქონე პირია, მიგრაციის სხვადასხვა საფეხურზე. ამ ქალებს აქვთ ფორმალური კვალიფიკაცია და დიპლომი, რაც მათ ბევრ სფეროში დასაქმების შესაძლებლობას აძლევს და მიგრაციის პერსპექტივაზე ახდენს ზეგავლენას. საზღვარგარეთ დასაქმების შესაძლებლობა ხშირად განსაზღვრავს განათლების მიმართულებას, რადგან ქალები ხშირად ისეთ კურსს ირჩევენ, რაც შრომითი ბაზრის მოთხოვნებს შეესაბამება. ქალები არაფორმალურ უნარებს იძენენ, ხშირად დამოუკიდებლად და სოციალური მედიის პლატფორმების ონლაინ კურსებით. პოტენციურმა მიგრანტებმა ხაზი გაუსვეს პროფესიისთვის შესაბამისი ენის ცოდნის მნიშვნელობას.

სანდო ინფორმაცია და გამგზავრებამდე ორიენტაცია პოტენციურ მიგრანტების სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციისთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ინტერვიუს დროს გამოვლინდა რომ მაღალი კვალიფიკაციის მქონე პოტენციურ მიგრანტებს უფრო მეტად სურთ განვითარდნენ პროფესიულად და გაიღრმაონ უნარები.

ჯანდაცვის სექტორის მსგავსი მოთხოვნადი სფეროს კვალიფიკაცია შესაძლოა მიგრაციის განმაპირობებელი ფაქტორი გახდეს.

სხვადასხვა ქვეყნის ქალების დაბრუნების სურვილი განსხვავებულია. მაროკოელი ქალები გეგმავენ დაბრუნდნენ და განავითარონ მიგრაციის შედეგად მიღებული გამოცდილება, ხოლო ტუნისელები მეტად მეტად იხრებიან მუდმივი მიგრაციისკენ.

შრომითი მიგრაციის სამმაგად მომგებიანი შემთხვევები

სეზონური მიგრანტი ქალები მაროკოდან საუბრობენ პოზიტიური ცვლილებაზე, რომელიც გამოწვეულია ახალი ცოდნის და უნარების მიღებით, მათ შორის გაზრდილი ფინანსური ცოდნით და სამეწარმეო უნარებით.

'[…] ჩვენ ბევრი ვისწავლეთ სოფლის მეურნეობაზე და როგორ უნდა მოვექცეთ და ვისაუბროთ სხვებთან.'
მაროკოელი სეზონური მიგრანტი ქალი

რესპონდენტებს მნიშვნელოვნად მიაჩნიათ წერა-კითხვის არმცოდნე ქალების უნარების განვითარება და უპირატესობას ზრდასრულებზე ორიენტირებულ სწავლების მეთოდს ანიჭებენ, რომელიც მორგებულია ქალების სპეციფიკურ საჭიროებებზე, მისაწვდომი იქნება ადგილობრივად, შეზღუდული გრაფიკის გათვალისწინებით. სეზონური მიგრანტი ქალების საჭიროებების ამგვარად გათვალისწინება მიგრანტების სხვა ჯგუფებისთვისაც, მათ შორის კაცებისთვისაც იქნება სასარგებლო.

ქალებმა საქართველოდან აღნიშნეს არსებული კვალიფიკაციის აღიარების და კარიერული განვითარების საჭიროება, ცალკეული პროფესიული უნარების დასახვეწად მოქნილი სქემების გათვალისწინება.

'ახლა საქართველოში კლინიკაში ვმუშაობ, მაქვს სანიტრის სტატუსი, რაც გასაკვირი იყო, რადგან გერმანიაში ექთნად ვმუშაობდი. […] როგორც ვხედავ, სისტემებს შორის დიდი სხვაობაა.'
დაბრუნებული ქართველი მომვლელი.

განსაკუთრებული ყურადღება გამჭოლ / ზოგად უნარებს - კომუნიკაციასა თუ ინტერკულტურულ გააზრებას უნდა დაეთმოს, ინოვაციური მიდგომების გათვალისწინებით. დაბრუნებული მიგრანტების უნარების გამოყენება წარმატებით შეიძლება განვითარებაზე ორიენტირებული სტრატეგიების შექმნის და განხორციელებისას.

დასაქმების შესაძლებლობების გასაზრდელად ტუნისელი პოტენციური მიგრანტები აქტიურად ეძებენ პროფესიული უნარების ფორმალური ათვისების შესაძლებლობას. ამას სხვადასხვა საშუალებით აღწევენ, მათ შორის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების და კერძო ტრენინგ-ცენტრების მეშვეობით.

'მე ინვესტიცია ჩავდე და 100%-ით ფოკუსირებული ვარ ჩემს საემიგრაციო პროექტზე.'
ტუნისელი პოტენციური მიგრანტი ქალი

მიუხედავად მაღალკვალიფიციური მუშახელის დაკარგვის რისკისა, პოტენციური სარგებელიც სახეზეა. კარგად განათლებული დიასპორა, შესაძლოა, მნიშვნელოვანი რესურსი გახდეს ტუნისისთვის, ვინაიდან პროფესიონალები საზღვარგარეთიდან უზრუნველყოფენ წვდომას კაპიტალზე, განათლებაზე, ტექნოლოგიებსა თუ ინფორმაციაზე. მიგრანტი ქალები შეიძლება გახდნენ უცხოეთთან მიმოცვლის, გზავნილებისა თუ ინვესტიციის გამტარები.

4. დასკვნები და რეკომენდაციები

'გადამზადების პროგრამა რომ არა, ეს ცვლილება არ მოხდებოდა, ასე რომ, უპირველეს ყოვლისა, ეს კარგი ცვლილებაა - მე ჩემი ცხოვრების მიმართულება შევცვალე.'
დაბრუნებული ქართველი მომვლელი

ETF-ის კვლევა აღწერს საქართველოდან, მაროკოდან და ტუნისიდან მიგრანტი ქალების სიტუაციას, ითვალისწინებს ამ ქვეყნების უნიკალურ მახასიათებლებს და გარემოებებს. მიუხედავად განსხვავებული ისტორიის, ეკონომიკისა და კონტექსტისა, კვლევა აჩვენებს რომ მიგრანტი ქალები მსგავსი გამოწვევების წინაშე დგანან. ადეკვატურად ინფორმირება, გადამზადება და მხარდაჭერის ზომები კრიტიკულად მნიშვნელოვანია მიგრანტი ქალების გაძლიერებისა და შემოსავლის უზრუნველყოფისთვის. ანგარიშში მოცემულია ქვეყნების ანალიტიკური შეფასება და დეტალური მიგნებები, რაც დაინტერესებულ მხარეებს მიზანმიმართული ინტერვენციების შექმნისას შეუძლიათ გამოიყენონ.ons.

ცხრილი 1. პოლიტიკის რეკომენდაციები წარმოშობის ქვეყნების და ქვე-ჯგუფების მიხედვით

	სეზონური მუშახელი			დაბრუნებული მომვლელები	პოტენციური მიგრანტები	
	საქ	მარ	ტუნ	საქ	მარ	ტუნ
ინფორმაცია						
გაზრდილი საინფორმაციო ველი გადამზადების არსებული შესაძლებლობების შესახებ	X	X	X	X	X	X
გადამზადება						
გამგზავრებამდე საფუძვლიანი ტრენინგი	X	X	X	X	X	X
ენის დახვეწის პროგრამები	X	X	X	X	X	X
სექტორისთვის სპეციფიკური უნარების გაძლიერება				X	X	X
ქალებზე მორგებული პროგრამები	X	X	X	X	X	X
ჰიბრიდული ტრენინგის ფორმატი	X	X	X	X	X	X
გამჭოლი უნარების განვითარება				X	X	X
კურსების ფინანსური ხელმისაწვდომობა	X	X	X	X	X	X
მეწარმეობის ტრენინგი და ფინანსური მხარდაჭერა *	X	X	X	X		
მხარდაჭერის ზომები						
უნარებისა და კვალიფიკაციების აღიარება				X	X	X
ფსიქოლოგიური მხარდაჭერა				X		
კავშირების შესაძლებლობა				X		
მენტორობის პროგრამები				X	X	X
პროფესიული ორიენტაციის შეხვედრა	X	X	X	X		
სამუშაოსთან შეხამება და დასაქმების ხელშეწყობა				X		

წყარო: ETF-ის ანალიტიკური ანგარიში: "მიგრანტი ქალები: ინდივიდუალური გზა და პერსპექტივები", 2024

ინტერვიუების დროს მნიშვნელოვანი მონაცემები გამოიკვეთა და ასახავდა მიგრანტი ქალების გამოცდილებასა და პერსპექტივებს, მიუხედავად იმისა რომ გამოკითხულთა რაოდენობა შედარებით მცირე და სტატისტიკურად ნაკლებად წარმომადგენლობითი იყო. ინტერვიუების დროს გამოთქმული მოლოდინებიდან გამომდინარე, შესაძლებელია შემდეგი მიმართულებების შეთავაზება:

გადამზადება და პროფესიული უნარების განვითარება წარმომავლობისა და დანიშნულებს ქვეყანაში, რომლის მიზანია:

- ***გამგზავრებამდე გადამზადების პროგრამები,*** რომელიც მოიცავს სამუშაო ადგილის მოლოდინებს, ფინანსების მართვის ელემენტარულ ცოდნას, გასაუბრების უნარებს და კულტურულ ადაპტაციას.
- ***ენის კურსები,*** რომელიც მორგებულია დანიშნულების ქვეყნის მოთხოვნებზე და სამუშაოსთვის სპეციფიკურ ლექსიკაზე.
- ***სექტორისთვის სპეციფიკური პროფესიული უნარების*** განვითარების პროგრამები, სამშობლოში და დანიშნულების ქვეყანაში დასაქმების შესაძლებლობების გაზრდაზე.

გადამზადების პროგრამა ზრდასრულების საჭიროებებს უნდა ერგებოდეს, უნდა იყოს უფასო და ჰიბრიდული ფორმატის (ონლაინ და პირისპირ), სხვადასხვა განათლების მქონე ადამიანების მოცვისა და წვდომის ხელშეწყობის მიზნით.

ინსტიტუციური მხარდაჭერის სხვა ზომები:

- ადრე მიღებული ცოდნის ვალიდაციისა და კვალიფიკაციების აღიარების სისტემის გაძლიერება როგორც წარმოშობის, ასევე დანიშნულების ქვეყანაში.
- პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული კონსულტაციების შეთავაზება დაბრუნებული მიგრანტებისთვის, მენტორობის პროგრამების ჩათვლით.
- სამეწარმეო პროგრამები და ფინანსური მხარდაჭერა მიგრანტი ქალებისთვის დაბრუნებისას.

მეტი ინფორმაცია სამშობლოში:

- მიზანმიმართული კამპანიების განხორციელება მიგრანტებისთვის არსებული ტრენინგების და ფინანსური შესაძლებლობების შესახებ, სოციალურ მედიასა და ტრანსპორტში რეკლამის განთავსებით.
- საკოორდინაციო მექანიზმის ჩამოყალიბება შესაბამისი სახელმწიფო უწყებების და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით, შეთავაზებული კურსების მრავალფეროვნების მიზნით.
- შრომითი მიგრაციის მართვა მეტად უნდა ითვალისწინებდეს პროფესიული უნარების საჭიროებებს ***ორმხრივი შეთანხმებებისა*** თუ ***ევროკავშირის ტალანტის პარტნიორობების*** ფარგლებში.

'[...] ქალები კაცებზე კარგად ართმევენ თავს; ალბათ ქალები უფრო მიზანდასახულები არიან.'
დაბრუნებული ქართველი მომვლელი

მიგრანტი ქალები რისკის და გამოწვევების მიმართ დინამიკურობას და მედეგობას ავლენენ. ბევრი სამშობლოში ცვლილების ხელშემწყობი ხდება. ისინი კარგი მაგალითები და ინფორმაციის წყაროები არიან. მათი წვლილის გათავისება და მხარდაჭერა მნიშვნელოვანია, ისევე, როგორც ქალების ფუნდამენტური როლის აღიარება საზოგადოების ჩამოყალიბებასა და პროგრესში.

5. გამოყენებული მასალა და სასარგებლო ბმულები

ეს კვლევა წარმოადგენს ETF-ის მიერ მხარდაჭერილი შრომითი მიგრაციის კომპონენტების ნაწილს შემდეგ დოკუმენტებში: ახალი შეთანხმება მიგრაციისა და თავშესაფრის შესახებ - ევროკომისია (europa.eu) წარდგენილი 2020 წელს, და პარტნიორობა ტალანტისთვის - ევროკომისია (europa.eu) და კომისიის რეკომენდაციები მესამე ქვეყნების მოქალაქეების კვალიფიკაციების აღიარებისთვის - ევროკომისია (europa.eu) ორივე 2023 წლის. ETF-ის ყველა რესურსი შრომით მიგრაციაზე შეგიძლიათ იხილოთ აქ: **Skills and migration | ETF (europa.eu)**. *დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით: migration-team@etf.europa.eu.*